



საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის

სახელმწიფო

კონსერვატორია

თბილისი 0108, გრიბოედოვის ქ. N 8-10 ტელ/ფაქსი: (+995 32) 2 999 144,

www.tsc.edu.ge ელ-ფოსტა: info@tsc.edu.ge; inter@tsc.edu.ge



KA000062328021121

№ 02-62-R

21 / მაისი / 2021 წ.

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის კომპოზიციის მიმართულებაზე ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 32-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, 33-ე მუხლის, 34-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 35-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N 05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-14 მუხლის პირველი პუნქტის, მე-8 პუნქტის "ა", "ბ" და "ო" ქვეპუნქტების, 26-ე და 27-ე მუხლების, 28-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 17 მაისის #55/2021 დადგენილების - "სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“ (დამტკიცებულია კონსერვატორიის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2021 წლის 20 მაისის № 18/2021 დადგენილებით), კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 14 მაისის № 50 დადგენილების „სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მიერ 2021 წელს აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოსაცხადებელ კონკურსში 65 წლის ან მეტი ასაკის პირთა მონაწილეობის შესახებ“, კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 17 მაისის #56/2021 დადგენილების „სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური თანამდებობის დაკავების საკონკურსო ვადების განსაზღვრის შესახებ“ (დამტკიცებულია კონსერვატორიის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2021 წლის 20 მაისის № 19/2021 დადგენილებით) და კონსერვატორიის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის დეკანის 2021 წლის 18 მაისის N389 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. გამოცხადდეს კონკურსი სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის კომპოზიციის მიმართულებაზე ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად;
2. კონკურსი გამოცხადდეს 2021 წლის 24 მაისს. საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2021 წლის 25 ივნისიდან 2021 წლის 29 ივნისის ჩათვლით. საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმი კონსერვატორიის აკადემიურ საბჭოს წარედგინოს არაუგვიანეს 2021 წლის 29 ივლისისა.
3. კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს მიერ კონკურსის შედეგების დამტკიცების ვადად განისაზღვროს არაუგვიანეს 2021 წლის 2 აგვისტოსი;
4. კონკურსი გამოცხადდეს კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის კომპოზიციის მიმართულებაზე შემდეგი აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:

### ასოცირებული პროფესორი - 3 ადგილი;

5. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე 4 წლის ვადით აირჩევა დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი ან/და პირი, რომელსაც წვლილი აქვს შეტანილი პროფესიული კადრების მომზადებასა და საკომპოზიტორო ხელოვნების განვითარებაში და აქვს აკადემიური უმაღლესი სამუსიკო

საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებაში შესაბამისი მიმართულებით ასოცირებულ ან ასისტენტ პროფესორად პედაგოგიური და სამეცნიერო-შემოქმედებითი მუშაობის არანაკლებ 4 წლის გამოცდილება.

6. აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევმა კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ:

- 6.1. კონკურსანტის განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე, დადგენილი ფორმის მიხედვით;
- 6.2. კონკურსანტის ანკეტა, შევსებული დადგენილი ფორმის მიხედვით;
- 6.3. პირადობის მოწმობის ასლი;
- 6.4. 1 (ერთი) ფოტოსურათი (ზომა: 3x4 სმ);
- 6.5. ცნობა ნასამართლეობის შესახებ („უმაღლესი განათლების შესახებ“ 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი ან/და პირი, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება);
- 6.6. ბოლო სამსახურებრივი პოზიციის (აკადემიური თანამდებობა/მოწვ. მასწ) დამადასტურებელი ცნობა, გაცემული შესაბამისი უწყების მიერ;
- 6.7. უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომის/ების) ასლი/ები;
- 6.8. უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომის/ების) ასლი/ები და მათი აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- 6.9. სამსახურებრივი გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ცნობა /შრომის წიგნაკის ასლი და სხვა);
- 6.10. დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი;
- 6.11. უცხო ქვეყანაში მიღებული სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- 6.12. ჯილდოების, პრემიების, სტიპენდიების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლები;

7. წინამდებარე ბრძანების მე-6 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით, ჩაწერილი CD-ზე;

8. საკონკურსო დოკუმენტების მიღება იწარმოებს 2021 წლის 25 ივნისიდან 2021 წლის 29 ივნისის ჩათვლით 10.00-დან 18.00 საათამდე, (შაბათ-კვირის ჩათვლით, შესვენება 13.00-დან 14.00-მდე) კონსერვატორიის საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღებ აპარატში, თბილისი, (მისამართი: ქ. თბილისი, ალ.გრიბოედოვის ქ. №8-10, ოთახი №212; ელექტრონული მისამართი: konkursi@tsc.edu.ge;

9. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთში "რეზონანსი", განთავსდეს კონსერვატორიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.tsc.edu.ge](http://www.tsc.edu.ge) და კონსერვატორიის ყველასთვის თვალსაჩინო ადგილებზე, მისი საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.

10. წინამდებარე ბრძანება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).

11. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის  
სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი

ხელმოწერილია/  
შტამგადასმულია  
ელექტრონულად



ნანა შარიქაძე